ბატონ-ყმობის გადავარდნის სამზადისის ამბები

დიმიტრი ყიფიანი – კოსტ. მამაცაშვილი და დიდი რევაზ ვაჩინაძე

გამოცემული დავით პიტნავას მიერ

გაზ. „სინათლიდან: გადმობეჭდილი

ტ ფ ი ლ ი ს ი

სტამბა „განათლებ“ დ. ლ. პიტნავასი

1919 წ.

ბატონ-ყმობის გადავარდნის სამზადისის ამბები.

ბატონ-ყმობის ისტორია მეტად საინტერესო არის; იგი მდიდარია თავის შინაარსით. მას ჰყავს მომხრედ არამც თუ ჩვეულებრივი კაცები, არამედ მსწავლულნიც, თითქმის პირველ ხარისხოვანი გვამნი. რუსეთის გლეხკაცობის ბატონყმობის ისტორიაში ბრწყინვენ ასეთი კაცები: ბელინსკი, გერცენი, კრა-პოთკინი, ბაკუნინი, ჩერნიშევსკი, ლავროვი, ნეკრა-სოვი, აგარიოვი, დობროლიუბოვი, პისარევი და სხვანიც. ამ პირთა კალმით მეცადინეობას აქვს მე-ტად დიდი, სიმპატიური ისტორია. მათი ცხოვრება და მოქმედება არის უმთავრესი მასალა ბატონ-ყმო-ბის ისტორიისა.

ჩვენ, ქართველთაც გვაქვს მიცრეოდენი რამ ცნობები ქართველის ერის ბატონყმობის ისტორიის შესახებ. თუმცა მცირედ, თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინც ჩვენც გვყვანდნენ ისეთი კაცები, რომელნიც თავიანთ კალამს და ცდას ამ ბატონ-ყმობის კითხვე-ბის გარშემო ატრიალებდნენ. მართალია ამათ ამ წეს-წყობილების შესახებ გამუდმებით არაფერი უწერიათ და რუსეთის მწერლებივით ამის შესახებ მთელი მწერლობა არ შეუქმნიათ, მაგრამ ეს იმ დავრდომითი პირობების ბრალია, რომელშიაც იმყოფებოდა მა-შინდელი ქართველობა.

მაინც ამ კითხვებს შეძლებისა და გვარად ეხე-ბოდნენ და ამკობდნენ თვისის კალმით შემდეგი პირნი: **დანიელ ჭონქაძე**, რომელმაც დასწერა ბა-

---

*) ეს წერილი ჩვენ ამოვიღეთ დაუღალავ ზ. ჭიჭინაძის ჯერ აქამომდე დაუბეჭდავ შრომიდან. იგი შეიცავს ორს დიდს ტომს და

ტონ-ყმობის ცხოვრებიდამ მოთხრობა „სურამის ციხე“. ბატონ ყმობის შესახებ სწერა **ილია ჭავჭავა-ძემ** კარგი ლექსები: **–** „მესმის მესმის“ და სხვანი, მასთან „კაკო ყაჩაღი“, მოთხრობა „გლეხის ნაამბობი“ და ზოგნი სხვა. **რაფ. ერისთავმა** დასწერა ბატონ-ყმობის დროს ლექსი „მთხოვნელი მსაჯულისადმი“. ამავე საგანს შეეხო ანტონ ფურცელაძე, ამან გა-არჩია მოთხრობა „სურამის ციხე“ და ბატონ-ყმობის გადავარდნემდე მოათავსა იგი ჟურ. „ცისკარში“ 1861 წ.

სხვა რამ წერილები და ცნობები ამ წესების გადავარდნამდე დაბეჭდილნი ქართულ ჟურნალ-გა-ზეთებში ჩვენ სხვა არა გვინახამს რა, ამიტომ აქ არც ვახსენებთ მათ. თუ რამ შემდეგ დროში დაიბეჭდა ბატონ-ყმობაზედ, აქ ჩვენ არც იმათ ვასახელებთ, ვინადგან ჩვენ ვაძლევთ უპირატესობას იმ ნაწერებს, რომელნიც ბატონ-ყმობის გადავარდნამდე დაიწერა. შემდეგ დროის ნაწარმოებს ჩვენ არ ვეხებით, გინდ ისტორიული იყოს იგი, გინდ კრიტიკულ-პუბლი-ცისტური და გინდ ხელოვნურ-მხატვრული.

ვიტყვით აქ იმასაც, რომ ბატონ-ყმობის გადა-ვარდნამდე, ხშირად თვით ყმათა შორისაც ჩნდებო-დნენ ისეთი მეშაირე-მელექსენი, რომელნიც თავიანთ ბატონებზედ და თავის გაჭირვებაზედ ლექსებს სთხზა-ვდნენ. ასეთი ლექსები და შაირები ქართველებში მრავლათ არის მოფენილი და ამის მაგალითებია თუნდ შემდეგი შაირ-ლექსები: „მომძანდი მჭადო, კორიელ“, „ამილახვრიანთ ყმობითა“, „აქამდის აზნა-ურები“, „ აზნაურობა მიყვარდა“ და სხვანიც მრავალნი.

ასე, რომ აღსანიშნავია და სათქმელი ისიც, რომ ავათ თუ კარგად, ბატონ-ყმობის გადავარდნამდე ამ წესების სიდუხჭირეს და მონობას გრძნობდა არა მარტო თვით დამონებული და დაჯაბნილი გლეხკა-

ცობა და ბატონის ყმანი, არამედ გრძნობდნენ ამას თვით ქართველთ წარჩინებულნი პირნიც და თვით ისეთი მწერლებიც კი, რონელთაგან ზოგი აზნაური და მათ ყმა და მამულებიც ქონდათ, მაგრამ იგინი ამით არაფერს მოჰრიდებიან და ბატონ-ყმობის შე-სახებ პირუთვნელად ულაპარაკნიათ ხშირად. ასეთი პირნი ჩვენ ზემოთ დავასახელეთ და ამიტომ მათ აღარ განვიმეორებთ.

რუსეთში ბატონ-ყმობა გადავარდა 1861 წ. რომელ წესების გადავარდნის მონატრეთ შორის ითვლებოდა თვის ძალა უნებურათ თვით იმპერატორი ალექსანდრე მეორეც. ჩვენში, ანუ საქართველოში გადავარდა 1864 წ, შემოდგმას. ასე რომ ამ წესების გადავარდნის მომსწრენი ჩვენში ბევრნი სცხოვრობენ დღესაც და იმედია ჯერ კიდევ კარგა ხანსაც იცოცხლებენ ამ ქვეყნის პირზედ. ამიტომ ეხლა ჩვენ აქ უნდა ვილაპარაკოთ მასზედ, თუ ეს ბატონ-ყმობის გადავრდნა ჩვენში როგორ მოხდა, ვინ რაში და რით გამოიყენა იგი, რითი ისარგებლა მიდამ, რა იშოვნეს ამ წესების გადავარდნით, რა იპოვეს, რა მოიგეს და ან რა ისწავღლეს. დავსძენთ, რომ სამწუხაროდ ამ გარემოების შესახებ ჩვენში არაფერია წერილობით დაშთენილი. ზეპირ ამბებით კი ბევრი რამ ვიცით. იმედი გვქონდა, რომ 1857 წ. განახლებრლ ჟურ. „ცისკრის“ ფურცლებზედ ვნახავდით რამეს, ან მის შინაურ მიმოხილვის მსგავს „სალაყბოს" ფურცლებზედ, მაგრამ არც იქ არის ამის შესახებ თქმული რამე.

სამწუხაროდ ამ გარემოებას არც იმ დროის ქართველთ სათეატრო მწერლებმა მიაქციეს ყურადღება და გიორგი ერისთავის და ზურაბ ანტონოვის პიესებში კრინტი, ჩამიჩუმიც არა სჩანს ბატონ-ყმობაზედ, თუმცა მათს პიესებში სოფლის გლეხობა ბევრს ალაგას არის გამოყვანილი, ამაზედ კი მათ

კრინტიც არ დასძრეს. უნდა ითქვას ამიტომ, რომ იქნება ამ მწერლებს ამ წესების სივერაგის შეგნებაც არ ჰქონდათ. ვთქვათ გ. ერისთავი თავადი იყო, თვით მას ჰყავდა ყმები და მონები, რომელთაც ხარკს ართმევდა, ვსთქვათ, ამან არ ისურვა ამათზედ რამის თქმა, მაშინ ზურაბ ანტონოვს რაღამ დაუშალა, იგი არც მებატონე იყო და არც ყმა და მამულის პატრონი, იგი იყო გორის მოქალაქე და ამასთან ღარიბიც. ამას ხომ მაინც უნდა ეთქვა რამე ამაზედ, მაგრამ არც ამას აქვს ამის შესახებ რამე ნაწერი. მაშასადამე, აქ ორში ერთი უნდა იყოს, ამათ ასეთის წესების ან შეგნება არ ჰქონდათ და ან ერიდებოდათ თანამედროვე გარემოებათა პირობების. მათს პიესებში ვინ იცის რამდენაირი სცენები და დაცინვა არ მოიპოვება და ამის შესახებ კი თვით სიტყვა „ბატონ-ყმობაც“ კი არ არის ნახსენები სადმე.

ჩვენგან მოხსენებულ ზემოხსენებულ მწერალთ გარდა ბატონ-ყმობის კითხვას სხვებიც შეეხნენ, მაგალითებრ, ცნობილი მწერალი თავ. ალექსანდრე

ორბელიანი და ამისთანანი ბრძანებდნენ, რომ **„ბა-ტონ-ყმობა ჩვენ მონებაო გვესმისო, საქართვე-ლოში კი ეს ასე არ იყო და აქ ბატონ-ყმობა მამაშვილობას წარმოადგენდაო“**. ამის შესახებ მან წერილიც დასწერა და დასტამბა 1858 წ. ჟურნალ „ცისკარში“. წერილის დაწერის მიზეზად უნდა გამ-ხდარიყო ის გარემოება, რომ იმ დროს ხალხში ბატონ-ყმობის გადავარდნის შესახებ ლაპარაკი იყო ამტყდარი და ყველა თუ არა, ზოგნი მაინც სიხარუ-ლით უმზერდნენ ამ მოსავალს და იმედი ჰქონდათ ბატონ-ყმობის მოსპობის. თითქოს ეს წერილი სწო-რედ ასეთ პირთა საპასუხოდ არის დაწერილი, თუმცა თვითონ წერილს კი საპასუხო სახელწოდების არა-ფერი ნიშანი აქვს, ხოლო დამწერის საუბარი კი ისეა

დაწყობილი, რომ მკითხველებმა მას საპასუხო სახე და მიმართვა უნდა მისცეს უსათუოდ.

ამ წერილის შესახებ ბევრჯელ გვქონდა ლაპა-რაკი მის თანამედროვე კაცებში, ასეთ მომსწრე კაცთაგან ჩვენ ბევრნაირი საუბარი და ცნობები მოგვისმენია, ამიტომ ამათს მონათხრობსაც აქ მოვი-ყვანთ. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ეს პირნი იყვნენ ბატონ-ყმობის დროს დაბადებილ-აღზრდილნი, მასთანვე ქართველი მწიგნობარნი და ამ წესების ავისა და კარგის მცოდნეებიც.

ბატონსა და ყმათა შორის, 1840 წლებს შემდეგ დიდად გამწვავდა დამოკიდებულება, მათში მუდამ დღე ომი და ოდიგარი იყო, მთავრობასთან ხომ ერთ თავად ყმების საჩივრები იყო ატეხილი, ყველა გლეხი უჩივოდა თავის მებატონეს, რომ ბატონმა მოახლედ გოგო წამართო, ბატონმა ვაჟი წამართო და გამიყოი-და, ბატონმა მამული წამართო, ბატონმა დამარბია და მრავალიც ამ გვარნი, რაც მაშინ ერთობ ხშირი იყო. ყველა ეს კა გლეხებში უაღრესად ნერგავდა საყვედურს ბატონ-ყმობის გადავარდნაზედ. ამაზედ ბატონები რისხდებოდნენ და გლეხებს უფრო ემუქრე-ბოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ **ეს თავის დღეში არ მოხდება, ამას ვერც თქვენ და ვერც თქვენი შვილები ვერ მოესწრებიანო.**

მართლაც და იყვნენ ისეთი მებატონენი, რო-მელთაც ბატონ-ყმობის გადავარდნის ძრიელ ეშინო-დათ. ისე სადმე რამე წვეულება არ იქნებოდა, ქორ-წილი, ნიშნობა, მიცვალებულის აღაპის გადახდა და ან სხვა რამ წვეულება, რომ იქ მებატონეთ ლაპა-რაკი არ დაეწყოთ ამაზედ და არ ესაუბრად გულ-მტკივნეულად. ზოგ მებატონეებს ეგონათ, რომ ყმებს ჩამოგვართმევენ და ამის სამაგიეროდ არც არაფერს

მოგვცემენო. ვინც არ იცოდა ეს ა, აბა იმას ეშინოდა
და აწუხებდა მომავალი და მათი ყმებისაგან ხელცა-

რიელად დაშთენა. მინც იცოდა ის გარემოება, რომ
ჩვენ ყმებს ჩამოგვართმევენ და მის მაგიერ ფულს
მოგვცემენო, ასეთ მებატონეთ უხაროდათ კიდეც,
რომ ჩვენში ამდენი დავიდარობა და შუღლიც მო-
ისპობავო, ჩვენც მივეჩვევით უყმოთ ცხოვრებას, ეს
ჩვენთვისაც კარგი იქნებაო.

იყვნენ ისეთი ქართველი თავადაზნაურები, რო-
მელთაც ეს გარემოება დიდათ უხაროდათ, ენატრე-
ბოდათ გლეხთა განთავისუფლება, ურთიერთ შორის
თანხმობის ჩამოგდება და გლეხთა ოჯახის დაწინა-
ურება და ამაღლება.

იყვნენ ისეთი მებატონენიც, რომელთაც ეს ბა-
ტონყმობის გადავარდნა სულის ამომხუთავ ძალად
მიაჩნდათ. ამაზეთ სწუხდნენ იგინი, მაზედდ ჰგოდებ-
დნენ და ნამეტურ თავად-აზნაურთა ქვრივნი და
ობოლნი, უფრო კი ისინი, რომელთაც არ იცოდნენ
ის ცნობა, რომ მათ ყმების ჩამორთმევის ნაცვლად
ფულები მიეცემოდათ. ხშირად ასეთი დედაკაცნი და
მამაკაცნიც კი მოთქმით გოდედნენ ასე, რომ კაცს
შეებრალებოდა მათი ნახვა და მწარე ცრემლით გო-
დებდნენ ასე:

რაღა ვქნათ მერე, რომ მართლა ყმები წაგვარ-
თვან, რიღათ ვიცხოვროთ, რიღათ გავიდეთ ქვეყანაში.

ვაი ჩვენ დღეს, თუ მართლა ეს მოხდა, მაშინ რაღა
გზა გვაქვს, თავი ქვას უნდა ვახალოთ და ან ავლაბრის
ხიდიდამ მტკვარში გადავცვივდეთ, ან სხვაგან სადმე.

არა გვგონია, როს ჩვენ კეთილშობილნი ხელ-
მწიფემ გაგვიმეტოს და ყმების გულისთვის დაგვჩა-
გროს. თუ ეს მოხდება, მაშინ რაღა გვეთქმის, მთ-
ლად დავიღუპებით, რაღა უნდა ვქნათო.

აღარც წყლის მომტანნი გვეყოლებიან, აღარც
შეშის მომტანი და დამჭრელნი, აღარც მხვნელ-
მთესველნი, აღარც მლეწველნი, აღარც ვენახის მო-
მუშავენი, აღარც შინ მოსამსახურენი, არც სხვა რამ

ამგვარნი. რაღა ვქნათ, რითი ვუშველოთ თავს, რითი
ვიცხოვროთო.

ასეთი ლაპარაკის დროს ყოფილან ხშირად თა-
ნადამსწრე ისეთ მებატონეთ ჯალაბნი, რომელთაც
თავში წაუშენიათ ხელები და დაუწყვიათ ტირილით
ყვირილი: **– „მაშ მაშინ ჩვენ რაღა ვქნათ“!** ზოგს
თმები და კავები გაუწეწია, ზოგს მუხლები გამო-

უთქვეფია ხელების ცემით და ზოგს, ვინ იცის, რო-
გორ არ უტირნია, როგორ უყვირნია და უწყევლია
ბატონ-ყმობის გადავარდნის მომგონნი.

რაც მაშინ ასეთი სცენები მამხდარა, ამაებს
კაცი ყველას ვერ ახსნის, ვერავინ მოიგონებს. მებატო-
ნები ძრიელ იყვნენ გულგატეხილნი და მგოდებელნი.

გლეხნიც, რასაკვირველია, ყველა ამაებს ხე-
დავდნენ, ბატონების მწუხარება მათ ჩუმად გულში
უხაროდათ, ხოლო პირით კი ვერას იტყოდნენ, ის კი
იყო, რომ სოფლად სადმე ყმა გლეხნი რომ თბილი-
სის ან სხვა რომელიმე ქალაქის კაცს ნახავდნენ, პირვე-
ლად მიესიყვარულებოდენ, პატივს სცემდნენ, სალამს
მისცემდენ და მერე მოკრძალვით ჰკითხავდნენ ასე:

ბატონ-ყმობის რა ისმის, ხომ არაფერი მოგე-
ხსენებათ, როდის მოხდება გადავარდნა, ეს ჩვენი
ბატონი-შვილები კი ძალიან სწუხან, ჩვენ გვიწყრე-
ბიან ამაზედ და გვემუქრებიან, ჩვენ კი მის სულ
არაფერი ვიცით. ასეთ პირთა წონაში ყმებს შიშიც
აქვნდათ გამოკითხვის გამო, რომ ეს პირი თავადი,
აზნაური, ან ჩვენი ბატონის ნათესავი არ იყოსო,
და ამიტომ მოკრძალვით ჰკითხავდნენ ბატონზედ,
ავს არას ეტყოდნენ.

იყვნენ ისეთი გლეხნიც, რომელნიც იტყოდენ
საქებად: ღმერთმა ქნას, რომ ბატონყმობა გადავარდეს,
ჩვენ უბატონოთ აბა როგორ შევიძლებთ ცხოვრებას, ჩვენი
ბატონები ჩვენი პატრონები არიან, ჩვენი მფარველნი და
ეს როშ მოხდეს, მაშინ ჩვენ გლეხები ხომ სულ დავი-

ღუპეთ, მერე სად რაღა პირით წავდგეთ, ან სამართალში
ვინ გვეყოლება მომხრე, დავაში, დევნაში და დაჩა-
გვრაში. უპატრონოდ და უბატონოთ აბა როგორ
ვიცხოვრებთ, ჯერეთ ბატონი, მფარველი გვყავს და
ვერ გვიცხოვრია და ეს რომ მოგვეშალოს, მაშინ
სულ დავიღუპებით. ღმერთმა კი ნუ ქნას რომ ეს
მოხდეს, თორემ თქვენი მტერი ჩვენი საქმე იქნება.

იყვნენ ისეთი ყმა გლეხნიც, ამას ფარისევლო-
ბით იძახდენ, ზოგნი ამიტომ ბატონის წინაშე ტი-
როდენ კიდეც, მებატონეს გულს უამებდნენ. იყვნენ
ისეთი გლეხნიც, რომელნიც ნამდვილ, სწორე გუ-
ლით სწუხდნენ ამაზედ და გულის სისწორით ლაპა-
რაკობდნენ და თავის მწუხარებას აცხადებდენ ბატონ-
ყმობის გადავარდნაზედ. ეს ხდებოდა უფრო რასა-
კვირველია, იმ გლეხთა შორის, რომელთა მებატო-
ნენიც კარგნი იყვნენ და ყმების გამტანნი, არ მდე-
ვნელნი, არ მჩაგვრელნი. უნდა ითქვას, რომ ასეთი
მებატონეთა რიცხვის დიდი იყო, სადაც ათი და ოცი

მათში ბოროტი გახლდათ, აქ მათ გვერდით კარგნიც ასობით მოიპოვებოდნენ. ხოლო ბოროტების საქმეებს ყველგან ჰყვანდა მძრახველ-მოდავენი, მკიცხველნი, მის გამო ყველა ბატონის ცუდათ მომხსენებელი და კაი მებატონის კი არსად არაფერი ისმოდა, მასზედ არავინ რას ლაპარაკობდა, რომ ესა და ეს მებატონე თუ ბოროტია და ცუდი, მიტომ ესა და ეს მებატონე კარგი და სამაგალითო არისო. ამაზედ ლაპარაკის ზოგს ერიდებოდათ და ამიტომ მაშინ ყველო მებატონე, ავი და კარგი ერთ რკალში ჰყვებოდა და ყველა იკიცხებოდა.

ყმათა შორის დიდი ღაღანი და გოდება დაწყობილ იქმნა ნამეტურ 1861 წ. როცა რუსეთში გადავარდა ბატონ-ყმობა. ამის ცნობა საქართველოში მალე მოვიდა. ამ გარიმოებამ შეუწყო ხელი უფრო ყმების ცნობის-მოყვარეობის აფეთქებას, თუმცა ისიც

კი უნდა ითქვას, რომ საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის შესახებ ლაპარაკი 1855 წ. განისმა, რასაკვირველია, რუსეთიდან რუსულ მწერლობის წყალობით, ხოლო საიდამ, როგორ და ვისი? ამას ჩვენ აქ არ ვეხებით. ის-კი უნდა ითქვას, რომ 1855 წ. ამ გადავარდნაზედ კანტი-კუნტად სცოდნიათ ლაპარაკი, 1860 წლიდამ კი ეს ხმა ისე გაისმა და ისე მოიფინა ყმა გლეხთა შორის, რომ არ დარჩა საფელი, დაბა და მასში მცხოვრებ ყმა გლეხთა დიდი, პატარა, ღრმა მოხუცი და თუ გინდ მცირე წლოვანი, რომ მათ არ შაეტყოთ ის ცნობა, რომ რუსეთში გადავარდა ბატონ-ყმობა და მალე აქაც გადავარდება, ყმები განთავისუფლდებიან ბატონ-ყმობის უღლისგანაო.

როგორც იქმნა საქართველოშიაც მოაღწია ბატონ-ყმობის გადავარდნის 1864 წელმა. გადავარდნის მოწესრიგებისათვის არსებობდა რამდენიმე კომისია, სადაც მუშაკობდნენ სხვა და სხვა მოხელენი და იგინი ყოველ თვე წესს ადგენდნენ ისე და იმ კვალიდ, როგორც ეს რუსეთში მოხდა უკვე. აქ, ამ დროს, იყვნენ ისეთი პირნიც, რომელნიც მთავრობას აუწყებდნენ, რომ ბატონ-ყმობის გადავარდნის გამოცხადების დღეს ყმები აჯანყდებიან, მათ განთავისუფლეარ უნდათო. მეორენი ასმენდნენ მთავრობას, რომ აჯანყდებიან უსათუოდ მიტომ, რადგანაც ყმებს ცარიელს, უმიწა-წყლოდ ათავისუფლებენ და მებატონეთ კიდევ ამათ სამაგიეროდ ფულსაც უხდიანო. ეს აბრაზებს და აცეცხლებს ყმა-გლეხებსო.

წარმოიდგინეთ, რომ ასეთის მეჭორეებისაგან დაფიქრებული იყო მთავრობა და ფიქრობდნენ ჯარით ზომის მიღებას, რომ მართლა გადავარდნის გა-

მოცხადების დღეს არაფერი მოხდესო. მთავრობის წინაშე ასეთს შიშს აქარწყლებდნენ: დიმიტრი ყიფიანი, კონსტანტინე მამაცა-შვილი და პოეტი გრიგოლ ორბელიანი. ესენი აუწყებდნენ, რომ ყმებში

არაფერი მოხდება; ნაცვლად ასეთის მოლოდინისა ყმანი მადლობელნი არიან უმიწა წყლოდ განთავისუფლების, ოღონდიკი დროით მოხდეს ეს ბედნიერი განკარგულებაო. მართლაც მოვიდა დანიშნული დღე. თბილისში იქმნა ქართლ-კახეთიდამ სხვა და სხვა თემთა, მებატონეთა და ყმათა მოზღვავება, ერთად შეკრება. ერთ მშვენიერ დღეს ნამესტნიკის სასახლის წინ ზღვა ხალხის კრება იყო, მოხდა ბატონ-ყმობის გადავარდნის გამოცხადება და აქ, ამ დროს, არც ყმათა აჯანყება მოხდა, არც უკმაყოფილება და სხვანი, რითაც გაბათილდა ცნობები იმ მოხელეთა, რომელნიც მთავრობას ასმენდნენ, რომ დანიშნულ დღეს გლეხთა აჯანყება მოხდებაო. ეს დღე იყო 1864 წ.

ის ცნობები, რომელსაც მთავრობას ასმენდნენ, რომ გლეხები განთავისუფლების დღეს აჯანყდებიანო, ეს მომხდარა იმ გლეხთა ტყუილის გოდებით, რომელნიც მებატონეთა გულის მოსაგებათ სწუხდნენ, რომ ჩვენი ერთმანერთის დაშორება იქნება დიდი უბედურებაო. ასეთის ფარისევლობის გლეხთა გოდებისაგან მართლაც და ზოგი მოხელენი დარწმუნებულნი ყოფილან, რომ ნამდვილად განთავისუფლების დღეს აჯანყება მოხდება, რადგანაც გლეხნი ასე მისტირიან თავიანთ მებატონეებსაო. ის კი არ იცოდნენ მათ, რომ ეს ყმა გლეხნი ასეთის მიტირვით მებატონეთ ატყუილებდნენ და გარდა ამისა არც ამას აკვირდებოდნენ, რომ თუ ერთი და ორი გლეხი ყმა ნამდვილად თუ ფარისევლობით კმაყოფილი იყო თავის ყმობის და ბატონს მიტომ მისტიროდა უკან ბატონ-ყმობის მოსპობას, ამათ გარდა, იყვნენ ათასობით ისეთი ყმანიც, რომელნიც ლოცულობდნენ ასეთს ცხოვრების ცვლილებაზედ და ამბობდნენ კმაყოფილებით, რომ გინდ სულ უმიწაწყლოდ გაგვანთავისუფლონ, ოღონდ-კი მოხდეს ესა და ჩვენ სხვა მის მეტი არა გვინდარა, ჩვენ ჩვენის

შრომით და მარჯვენით ვიცხოვრებთო. დაე ყველაფერი ჩვენი მებატონეების იყოს, მიწაც მამულიც, ტყეც, სახნავიც, სათესიც, ბაღი და ბოსტანიც. ოღონდ კი გაგვყარონ მათს მონობასა და გაგვანთავისუფლონო. ასე ფიქრობდა გლეხ-ყმათა უმრავ-

ლესობა და მართლაც მათ ასე აუსრულდათ ნატვრა და კიდევაც განთავისუფლდნენ სულიერად.

თუმცა ყმა-გლეხნი ასე ცარიელტარიელობით განთავისუფლებისაც კი მადლობერნი იყვნენ, თუმცა მათ მებატონეებისა არაფერი უნდოდათ, ოღონდ-კი სულიერად განთავისუფლებულიყვნენ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ იმასაც, იმ დროის ქართველთ მებატონეთა შორის იყვნენ მრავლად ისეთ სათნო პირნიც, რომელთაც ყმათა ასეთი ცარიოლობით განთავისუფლება არათ მოსწონდათ და ყოველთვის და ყოველგან ასე განთავისუფლების გამო დიდს უკმაყოფილებას აცხადებდნენ და ყმათადმი დიდს სიბრალულს. ასეთ პატიოსან პირთა რიცხვი საკმაო ყოფილა და მათში ბევრი ცდილა-კიდეც მთავრობის წინაშე, რომ ეს ასე არ მომხდარიყო, მაგრამ გაწყობით-კი ვერა მოუხერხებიათ რა, თუმცა თვისი ცდა არ დაუკლიათ. ესენი თავიანთ მომხრეობას აფუძნებდნენ იმ განსხვავებულ ზნესა და ჩვეულებაზედ, რითაც საქართველო და ქართველი გლეხ-კაცობა რუსეთის გლეხ-კაცობისაგან დიდათ გაირჩევოდა.

ასეთ საპატიო პირთა შორის, რასაკვირველია პირველობა დიმიტრი ყოფიანს, კონსტანტინე მამაცაშვილს და ბევრს კიდევ სხვა ასეთ მოხელე გენერლებს მიეწერებათ. მათ გარდა, თვით ქართველ იმ დროის მწერლებიც სულ ამ აზრისანი იყვნენ, იგინიც ამას ჰნატრობდნენ, თუმცა მათ ამის შესახებ კი არაფერი აქვსთ ნაწერი. ასეთი კეთილშობილის აზრის იყვნენ მრავლად თურმე თვით (ზოგიერთი ძველი კარგი მებატონენი და ერთი ამათგანი ყოფილა

რევაზ ვაჩნაძე. თავის კვალათ კარგად ცნობილი მთელს ქართლსა და კახეთში, ცნობილი, როგორც გულ-კეთილი, ყმათა და გლეხთა ცხოვრების შემბრალე და მასთანვე ისეთი მახვილგონიერი და კარგად მცოდნე იმ დროის ქართველ თავად-აზნაურთა ზნე და ხასიათის, ცხოვრების, ისევე ქართველ ყმა გლეხთა, რომლის უკეთესად მცოდნე მაშინ ძნელად რომ ყოფილიყოს ვინმეო.

ეს დიდი რევაზ ვაჩინაძე სულ იმაზედ სწუხდა, რომ ეს რა ყმათა განთავისუფლება არისო. ფული ჩვენ გვეძლევა, მამულები და იგინი კი ჩვენგან ცარიელნი გადიანო. ეს არაფერი თავისუფლება არისო. ამის შესახებ ბევრნი ლაპარაკობდნენ თურმე და მწუხარებას აცხადებდნენ, რომ ნეტა ეს საქმე ასე არ მოხდესო, მაგრამ ვინ რას იზავდა, ყოველივე უმაღლესად დამტკიცებულ იყო 1861 წ. 19 თებერვალს, რისაც რუსეთის ყმა-გლეხებიც კი იყვნენ დიდი მად-

ლობელნი, ოღონდ ბატონის სულიერად მონობისაგან განთავისუფლდეთო.

მაშინ მებატონეთაგან და თვით ყმათაგანაც ბევრი რამა თქმულა. ყველას აქ ვინ ანუსხავს, მხოლოდ მოვიყვანთ ერთ სიტყვას, რომელიც რევაზ ვაჩნაძეს კახეთში წარმოუთქვამ ერთს დღეს, როცა მთელი კახეთის თავად აზნაურთა ყრილობა ყოფილა და როცა აქვე ყოფილან მოსული დიმიტრი ყიფიანი და კონსტატინე მამაცაშვილი, რომელნიც ავალებდნენ კახელ მებატონეთ, რომ გლეხთა განთავისუფლების სანაცვლოდ ანაღებ ფულიდამ ერთი ნაწილი ბანკის გასახსნელად გადასდეთო.

ამ დღეს დიდს რევაზ ვაჩნაძეს წარმოუთქვამს შემდეგი სიტყვა:

„ბატონებო! მოვესწარით იმ ბედნიერ დღეს, როცა ჩვენს ყმებს ჩვენის ყმობისგან ანთავისუფლებენ, მადლობა ღმერთს. მადლობელნი უნდა ვიყვნეთ

ჩვენ ასეთის ბედნიერების, ასეთის მოწყალების, რომ ჩვენი ძმანი ჩვენგან თავისუფლდებიან და მათ ეძლევათ უფლება ცხოვრების და ღვთისაგან მიერ მოწონებულ თანასწორობის (ზოგი თურმე ჰკიცხავს ამ დროს ხმა მაღლა). მაგრამ უნდა მოვიხსენოთ ჩვენი მწუხარება, რომ ჩვენის ყმების, ჩვენის ძმების ასე განთავისუფლება ერთობ გვაღონებს და არ გვაძლევს კარგს საიმედო ცხოვრების ნიშნებს სამერმისოდ (ზოგნი უყვირიან ეგეც მეტიაო). ჩვენი ყმების ასე, განთავისუფლება ჩვენთვის საწყენი უნდა იყოს, საწყენი უნდა იყოს მით უფრო, რადგანაც ჩვენ და მათ ამდენი ხნის განმავლობაში ერთად გვქონია ცხოვრება, ერთნი ვყოფილვართ, ხშირად ჩვენ შორის უსიამოვნებაც ყოფილა, ხან ბატონს დაუჩაგრამს ყმა უსაბუთოდ, ხან ყმას უწყენინებია ბატონისათვის, ხოლო რაც შეეხება ცხოვრებას და ორივეს საქმეებს, ჩვენ ყოველთვის ერთნი ვყოფილვართ და ერთი ცხოვრება გვქონია, მტერთან ერთად უბრძოლიათ ჩვენს და მათ მამა-პაპებს, ერთად უღვრიად სისხლი.

ასე, ბატონო კეთილ-შობილნო, მოდით და ჩვენის ასეთის კავშირის სამახსოვროდ, ჩვენის ასეთის ერთ მეოჯახობის, ერთ ოჯახის შვილობის და სიყვარულის ნიშნად, გავიმეტოდ და ჩვენის მამულებიდამ, თითო მტკაველი მიწა მიუზომოთ ჩუქებით, თავაზით და მით უქონელი ცარიელ-ტარიელი ყმა გლეხი გავხადოთ უძრავი მიწა-მამულის პატრონი. დამერწმუნეთ, რომ ეს იქნება დიდი საქმე, ეს იქნება ჩვენი და მათი ერთობის და ერთ ცხოვრების მოსაგონარი და იგინი ამით ხშირად მოგვიგონებენ ჩვენ,

რომ აგერ, ჩვენ და ჩვენს მებატონეთ ერთ დროს, გვქონია ერთი ცხოვრება, ერთი ბატონ-ყმური კავ-შირი, ჟამთა ვითარების წყალობით ჩვენ გავიყარენით და ერთმანერთს მოვსცილდით, მაგრამ აი ჩვენის რო-დისმე ერთის ცხოვრების და ერთის ოჯახის შვილო-

ბის სამახსოვროთ მათგან დათმობილი გვაქვს ჩუქებით აი ეს მამულები, რომლითაც დღეს ვსარგებლობთ და ცოლ-შვილს ვარჩენთო. ასე ვქნათ, ბატონებო, თორემ, ჩვენ ჩვენს მამულებს ვერ შევიფერებთ, ვერ შევინახავთ, ყოველივე ხელიდამ წაგვივა, მათ შეი-ძენენ უცხო ტომის ერნი, ჩვენი ყმანი-კი დარჩებიან ცარიელნი და მერე რა მოგვივა, რა მოჰყვება ამას, ეს ყველასთვის ცხადი უნდა იყოს. ასე, ბატონებო, გავიმეტოთ ჩვენის ყმა გლეხებისათვის თითო მტკა-ველი მიწა და დაუთმოთ მათ უფასოდ, ჩუქებით, თორემ მომავალში ჩვენსა და მათ შორის დიდი მტრობა გამწვადება, ჩვენ ყველაფერი ხელიდამ წაგვივა და ბოლოდ სასინანუროთაც გახდება საქმე".

ასეთის კეთილ შობილურის სიტყვის ზოგი თა-ნახმა იყო, ზოგი არა. ერთნი ამბობდნენ: კარგი იქნება, ჩვენი ყმანი ჩვენი ძმები არიან, ერთად ვყო-ფილვართ, ეს ძალიან კარგი დარიგება არის. ესევე სიტყვები გაიმეორეს დიმიტრი ყიფიანმა და კონსტან-ტინე მამაცაშვილმა. ამათ უფრო უკეთესად შემოსეს ეს თხოვნა. ამათ სიტყვის გათავების უმალვე უმრავლესობას დაუწყვია ასეთი სიტყვების ყვირილი:

როგორ თუ ყმებს უფასოდ ადგილები ვაჩუქოთ, მაგათთვის ეგეც მეტია, რომ ანთავისუფლებენ, მა-გას-კი მადლობელნი არ არიან განა ეგენი!? ეს საქმე-ები სუ თქვენი ბრალია, სუ თქვენის წყალობით მოხდა ყოველივე ეს, განა არა იმიტომ დაძვრებოდით აქეთ-იქით აქამდის (დიმიტრი ყიფიანს და კონსტ. მამაცაშვილს), რომ ეს გინდოდათ რაღა, ეს სულ თქვენი საქმეა, ჩვენ არავის არაფერს არ მივსცემთ.

ასეთს სიტყვებს და კიცხვას მოჰყვა დიდი აურ-ზაური, უსიამოვნება და გონიერთ პირთ თურმე დი-დათ ეწყინათ და უგნურთათვის იგი სულ არაფერი იყო, უმნიშვნელო ბოდვა. ასეთის საუბრის კარგი თა-ნადამსწრეა თვით პატარა **რევაზ ვაჩნაძე,** კაცი

კარგათ ცნობილი მთელს კახეთის წარჩინებულ პირთ შორის და მართლაც გონიერი და გულ შემატკივარი ქართველთ ცხოვრებისა. თვით ესეც ყოფილა მარ-ჯვენა მკლავი დიდი რევაზ ვაჩნაძის სიტყვის, დიდის

პატივისცემით მოუსმენია ამას ეს სიტყვა და დარიგება და როგორც არის გარდმოცემა, პირველი მოთანხმე ეს ყოფილა იმ საშვილიშვილო კეთილ-შობილურის რჩევის და დავალების და თვისი მადლობა და პათივისცემაც მაშინვე განუცხადებია მას, რომ ჩვენს ნაყმევთ ცხოვრებას ასე შევხვდეთო. მაგრამ სამწუხაროდ, ამათ რჩავას გამგონი ბევრი არ ჰყოლია და ყოველივე დაშთენილა უმნიშნელოდ და საწყენად.

ასე და ამგვარად, 1864 შემდეგ განვლეთ დღემდე, დღეს უკვე აღსრულდა დიდი რევაზ ვაჩნაძის სიტყვა, მასთან დიმიტრი ყიფიანის, კონსტანტინე მამაცაშვილის, პატარა რევაზ ვაჩნაძის და სხვათა, თუმცა სამი ამ მოხსენებულთაგანი აღარ სცხოვრობს დღეს, მაგრამ მათი სიტყვა მაინც აღსრულდა და კახელ მებატონეთა უმეტესობამ დაკარგა თავის მიწა, მამული, რომელთაც სხვები იძენენ და ადგილობრივი გლეხ-კაცობა კი რჩება შეუძლელობის გამო უმიწა-წყლოდ, რაისა გამოც მათგან დიდი საყვედურებიც ისმის თავიანთ ნაბატონარ მემამულეებზედ.

ზ. ჭ.